

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 30 ივნისის

დადგენილება №2442

მაგისტრატურის მოდიფიცირებული  
საგანმანათლებლო პროგრამის  
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დამტკიცდეს მაგისტრატურის მოდიფიცირებული ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „სამედიცინო ფიზიკა“.

დადგენილებას თან ერთვის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 12 ივნისის №5 სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს  
2017 წლის 30 ივნისის დადგენილება №2442-ის დანართი

ამონაწერი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის  
საბჭოს სხდომის  
ოქმი № 5  
2017 წლის 12 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს 199 წევრი.

- დღისწესრიგი:
1. სამივლინებო თანხები გამოყოფა ფაკულტეტის თანამშრომელთათვის;
  2. სახელმძღვანელოების დაფინანსება;
  3. დახმარების შესახებ;
  4. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: 4. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის პროფ. ზ. ზაიაშვილის გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ "სამედიცინო ფიზიკის" მაგისტრატურის პროგრამაში მოხდა მოდიფიცირება. უცხოელ კოლეგებთან (IAEA წარმომადგენლების ვიზიტი სტუ-ს ფიზიკის დეპარტამენტში და იულიხის კვლევითი ცენტრის ნეირომეცნიერებისა და მედიცინის ინსტიტუტის დირექტორისა და ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომლების) კონსულტაციებისა და რეკომენდაციების შედეგად, იმის გამო რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების გარკვეული რაოდენობა სტაჟირებას გადის და სამაგისტრო ნაშრომს ასრულებს გერმანიაში და იქ კვლევების დროს უშუალოდ აქვთ შეხება პაციენტებთან, გაჩნდა ორი არჩევითი ბლოკი: პირველ ბლოკში გაერთიანდა საგნები "ანატომია" და „MATLAB-ის გამოყენება პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად“ და მეორე ბლოკში „ფიზიოლოგია“ და „მათემატიკური ფიზიკის განტოლებები“.

აღნიშნული მოდიფიცირება გამოწვეულია იმით, რომ სამედიცინო ფიზიკის სპეციალისტები კლინიკებში მუშაობენ ორი მიმართულებით: უახლესი ტექნოლოგიების სამედიცინო აპარატურასთან (რომელიც საჭიროებს კვლევების მათემატიკურ გათვლებს) და პაციენტებთან (ანატომია და ფიზიოლოგია), შესაბამისად სტუდენტებს შერჩეული მიმართულების მიხედვით შეუძლიათ აირჩიონ საგნები და სასურველი მიმართულებით იმუშაონ.

საგნების: ანატომია და ფიზიოლოგია მიზანია შეასწავლოს სტუდენტს ადამიანის ორგანიზმის აგებულება ორგანოების სისტემის მიხედვით. კერძოდ: ადამიანის ორგანიზმის ცალკეული ორგანოების, ნაწილების, ორგანოთა სისტემების ფორმისა და აგებულების შესწავლა და შესაბამისად სტუდენტი შეძლებს: მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და დაეუფლება თეორიულ ცოდნას ადამიანის ანატომიაში და ფიზიოლოგიაში, შეძლებს ადამიანის ერთიანი ორგანიზმის განვითარების ფუნქციურ შესაძლებლობებში გარკვევას.

აზრი პროფესორებმა ზ.წვერაიძემ, მ.ახობაძემ, დ.ნატროშვილმა, ი.გოცირიძემ,  
გამოთქვეს: ქ.კოტრიკაძემ, ა.გიგინეიშვილმა, ქ.კოტეტიშვილმა ქ.კოტრიკაძემ,  
მ.ზაზაშვილმა, დ.ჯიშიაშვილმა.

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს: იმს ფაკულტეტზე მიღებულ იქნეს "სამედიცინო ფიზიკის" მაგისტრატურის  
პროგრამაში ჩატარებული მოდიფიცირება.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად. 199-თანახმა, თავი შეიკავა - არც  
ერთმა, წინააღმდეგი - არც ერთი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ზურაბ წვერაიძე

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი:

ქეთევან კოტრიკაძე

